წელიწადი 1-ლი — ტელეფონი № 76. — ხუთშაბათი 24 მაისი 1917 წ.

ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლიერად . . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურად . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი ფასი 20 კ.
წლიური ხელის მოწერლობა გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილად გადასახდელ: ხელის მოწერის დროს 5 მ. ნახევარ თვის შემდეგ 5 მ. და დანარჩენი სექტემბრის პირველ-ადე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პატარა ლირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ერთ-ერთ გვერდზე მოთავსებული განცხადება ორის ერთი ორად საბოლოოდ ერთ-ერთ გვერდზე ... ოთხ-ოთხ ... ...

მიწის სოციალიზაციის განხორციელებას დღეს მოვთხოვთ ჯერ რეფორმიერ გზით და ისიც დამფუძნებულ კრებაზეს?“.

ეი სიაღან ბ-ნი ნოკ. ბესაძე: თქვენი დეკლარაცია ამბობს („ნ., სახალხო ფურცელ“, 16 მაისს): 1) ახლავე (ურსიცი ჩემი) სახაზინო, საუფლისწულო და საეკლესიო, სამონასტრო მიწები გადავიდეს დასაკავად რევოლუციონური ორგანოების ხელში.

ამ ადგილებში სოფლებმა უფასოდ უნდა ისარგებლონ სამეურნეოთა და ტყის მასალაც უფასოდ უნდა მიეცეს ყველას საკუთარი საჭიროებისათვის.

2) ახლავე უნდა აიკრძალოს მამულების ყიდვა-გაყიდვა და დავირავება ან მემკვიდრეობით გადაცემა“.

როგორ გგონიათ? ნუ თუ ეს „სოციალიზაციის“ განხორციელების დასაწყისი არ არის?

დასასრულ თქვენი რეზოლიუცია, მამულების ჩამორთმევის სამე რევოლუციურმა ორგანოებმა უნდა მოაწყონ და ხოლოდ სამოლოდ უნდა მოაწესრიგონ და განმატიკოს საქართველოს ავტონომიამა, ნუ თუ იმას არ ნიშნავს, რომ დღესვე აპირებთ სოციალიზაციის განხორციელებას? თორემ, თუ კი ამ საკითხს მანამდის არ გადაწყვეტთ და არ განახორციელებთ, ვიდრე დამწესებელი კრება არ დაიკანონებს, შემდეგ ხომ მისი განხორციელება კანონიერი გზით მოხდება. „ე. ი. კანონიერ ორგანოებს დაევალება და არა რევოლუციურს?

დიაღ. ბატონ ნოკ! სწორეთ იმდენიც შინაგანი წინაღმდეგობა და არეკ-დარევაა —თქვენს ტაქტიკაში, რამდენიც თქვენს თეორიაშია რაც შეეხება რუსეთის გლეხებისა და ჯარისკაცების ყრილობათა რეზოლუციებს, მოგახსენებთ, რომ ჩვენ ჩვენი თეორია და ტაქტიკა საქართველოს გლეხთა ინტერესებისა და ჩვენი მეურნეობის პირობებისათვის შეგვირიგებია და არა რუსეთის გლეხთა ინტერესებისა და რუსეთის მეურნეობის პირობებისათვის, რადგან ვფიქრობთ. რომ მარტოოდენ წამბაძველობით ჩვენ ერის ეკონომიურ კეთილდღეობას ძირს გამოვუთხრიდით.

რევოლუციის ამბები

ჰ. დ. ს.

დეპეშები

სამხედრო კომიტეტის დეპუტატთა სხდომა.

კიევი. 21 მაისი. სამხედრო კომიტეტის დეპუტატთა სხდომას დაესწრო ალ. კერენსკი. სხდომაზე არკვეულდენ დეზერტირთა კითხვა. სხდომამ აღიარა, დეზერტირობა დიდ დანაშაულად უნდა ჩითვალოსო. იმ ჯარისკაცთ რომელნიც თავიანთ მოვალეობას ვაურბიან ერთმეოვთ მრავალი მოქალაქობრივი უფლებანი.

სასურსათო კომიტეტის წევრთა სხდომა.

ვიატკა. 19 მაისი. სასურსათო კომიტეტის წარმომადგენელთა ყრილობაზე გამოირკვა, რომ გლეხები უარს აცხადებენ პუთის მეტ ფასში გაყიდვაზე.

კავკასიის კორპუსის ოფიცერთა კრება.

პეტროგრადი. 20 მაისი. კავკასიის კორპუსის გიორგის კავალრების ოფიცრებთა და ჯარისკაცთა კრებაზე დაადგინეს გადასცენ მინისტრ ალ. კერენსკის მეორე ხარისხის წმინ. გიორგის ჯვრები,

მინისტრთა კომეტაზავრება.

პეტროგრადი. 20 მაისი. კონშტადტში სხვადასხვა საქმის მოსაწესრიგებლად გაემგზავრებიან მინისტრები ჩერნოვი და წერეთელი.

დროებითი მთავრობის განკარგულება.

პეტროგრადი. 22 მაისი. დროებით მთავრობის განკარგულებით გენერალი ალექსეევი დარჩება სამხრეთ დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლად. გენერალი ბრუსილოვი დანიშნა მე-11 არმიის მთავარსარდლად, გენერალი გუტორი კი სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის მთავარ სარდლად.

მუშთა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგაციი კრონშტადტში.

პეტროგრადი. 22 მაისი. პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგაცია, რომელიც კრონშტადტში იყო გამგზავრებული კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსთან ერთად რევოლუციის მსვლელობისა და დროებითი მთავრობის მიმართ დამოკიდებულების გამოსარკვევად პეტროგრადში უკვე დაბრუნდა. კრონშტადტის მუშაობა და ჯარისკაცთა საბჭომ ზემოხსენებული მიზეზთა გამო პეტროგრადში თავის მხრივ გამოგზავნა დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხდომაზე.

კონფედერაციის კვადგენა.

პეტროგრადი. 19 მაისი. ეკურრბა მრეწველობის მინისტრი კონფედერაციი დროებითი მთავრობისადმ კვმოვედ. დროებითი მთავრობის საფინანსო და საეკონომიო ბჭემ.

პეტრობრადი. 18 მაისი. (დაგვიანებულია). დროებითი მთავრობა საფინანსო და საეკონომიო ბჭემ შედგენს შეუდგა. გეგმის მიზანი რუსეთის შერაყეული სახელმწიფოებრივ მდგომარეობის გაუმჯობესებაა.

მერაბა ქათამაძე და ძველი რეჟიმის დიპლომატი.

მკითხველო, ვიცი—გაგეცინება, ამ ჩემი დღევანდელი ფელეტონის სათაურს რომ ამოიკითხავ; შეიძლება მაშინვე ხელიდან გაიგდო და საკვირველიც არ იქნება: სად ოკრიბელი ქათამაძე და სად რუსეთის პოლიტიკის ხელმძღვანელი დიპლომატიკონი, ოტყვი უთუოდ.

ასეთი შენი საკვირველი პირდაუყოფელი იქნება, მკითხველო, მაგრამ ამა ერთი შეეადართ მერაბა ქათამაძის მოვალეობა და რუსეთის დიპლომატიის საქმენი და მაშინ ვნახოთ, თუ კვერს არ დამიკრავ და არ დამემოწმები.

მერაბას ჩვენ ში ქვეყნის მოტირალს ეს ხდენ და ეს სახელი მას უსაბუთოდ არ დაუმსახურებია:

ჩვენ ში, მოგეხსენებათ, კაი ტირილი ჭირისუფლის გამომჩინებელი საქმე იყო.

ჭირისუფლის ოჯახის ავ-კარგიანობა და ღირსება ასაბიის რიცხვით და მისი გამასპინძლებით ფასდებოდა და იზომებოდა: ვისაც ბევრი ნათელ-მირონი და ნათესაობა ჰყავდა, ჭირის დღის დასასვენებლად, მეტი და მეტი ასაბია მოუვიდოდა მოტირალად.

და ასაბის გამოწყობა მოტირალი მოყვრისათვის და მასპინძელი ჭირისუფლისათვის ხუმრობა საქმე არ იყო. ორთავეს თავი უნდა მოეკაჭლა, ორივეს დიდი სამასპინძლო სპირდებოდა, მაგრამ მაშინ ხომ ასეთი ხარჯების გაწევას ახლანდებურად არავინ ანგარიშობდა.

მხოლოდ საქმე ის იყო, რომ ყველაფერი წყობილად, ერთხელვე მიღებული წესი და ჩვეულება უკლისად უნდა შესრულებულიყო:

ტირილის დღეს მიცვალებული დასაწყისიდან სასაფლაოზე გასვენებამდი უტირლად არ უნდა გამეცარიყო: განუწყვეტლად თავეკემთ უნდა მღვარიყო ვინმე კუბოსთან და ეტირა და ეტირა.

ასაბიები, მოგეხსენებათ, ყველა ხომ ერთ დროს ვერ მოვიდოდა: მახლობლები წერივს დროსაც დასაწრებდენ, და შორებლები კი, ზოგი დაბალ სადილობაზე, ზოგი მაღალ სადილობისას, ზოგი მზის გადახრისას და ზოგიც სამხრობისას ძლივს მოაწევდა.

ასე რომ, კუბო ხან ნახევარ საათობით და ხან მთელი საათობითაც უტირლად უნდა დარჩენილიყო; და კუბოს ასე გაცდენა-ჭირის დღის წაბედნათ და გაფუჭებათ ითვლებოდა.

აი, ჭირისუფლის მანუგეშებლად ცნობილი მერაბა ქათამაძე უნდა გამოსულიყო სცენაზე. ამას უნდა ეტირთა საშინელი და ძნელი მოვალეობა: ასაბიებს შორის გამქადარი დრო ამას უნდა ამოევსო, უნდა ეტირა მიცვალებული იმდენჯერ, რამდენჯერაც და რამდენ ხანსაც კუბო გაცდებოდა.

მამიჩემის გასვენების დღეს, კარგად მახსოვს, მერაბას ცხრაჯერ ატირეს ძეროფასი მიცვალებული; მაგრამ სამაგიროთ ცხრაჯერვე ერგო ასაბიასთან სუფაში ჯდომა და ცხრაჯერვე გვარიანად შეზარხოშდა უცრემლო მოტირალი.

რუსეთი.

ჰ. დ. ს.

დეპეშები.

ფეოდების გაფიდანგა.

ტამბოვი, მაისი 21. საქალაქო თვითმმართველობაში ქალაქის მამასახლისს გაუფლანგავს 77,000 მანეთი.

მატარებლების დაჯახება.

სმოლენსკი, მაისი 21. ბოგოიავლენის რკინის გზის ლიანდაგზე მატარებელი ერთმანეთს დაეჯახენ. დაშავდა რამდენიმე კაცი.

ნ ე ტ ხ ლ ი

მინსკი, მაისი 21. პინსკის მაზრაში აკონდოვის მამულში დაიწვა 500 დესიატინა ტყე.

სლუკკის მაზრაში, დაიწვა 500 დესიატინა ტყე.

ზავის კრაშვა,

პეტროგრადი, მაისი 20. მუშათა და ჯარის კაცთა, აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა მიმართვა ყველა ქვეყნის სოციალისტთა ცენტრალ კომიტეტისადმი ზავის ჩამოგდების შესახებ. უნდა მოხდეს კონფერენცია ყველა ქვეყნის სოციალისტების წარმომადგენელებისა, სადაც გადაიტრება ზავის კითხვა, კონფერენცია მოწვეული უნდა იქნას სტოკჰოლმში.

ფრანგ-სოციალისტების დეპეშა ჩხეიძისადმი

პეტროგრადი, მაისი 20. ჩხეიძემ მიიღო დეპეშა ფრანგ-სოციალისტების მიერ გამოგზავნილი ყველა ქვეყნის სოციალისტების წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევის გამო, ზავის კითხვის გადასაჭრელად.

ფრანგი სოციალისტები კაშენი და მუტე ატაყობინებენ ჩხეიძეს, რომ სოციალისტურ პარტიის ეროვნულმა საბჭომ დაადგინა მხარი დაუჭიროს თქვენს მიერ აღძრულ კითხვას მომავალ კონფერენციის მოწვევის შესახებო.

ოფიცერთა და ფლოტის წარმომადგენელთა ყრილობა.

პეტროგრადი, მაისი 19. ოფიცერთა და ფლოტის წარმომადგენელთა ყრილობაზე გადასწყვიტეს გაგრძელდეს ომი ხელსაყრელ ზავის ჩამოგდების მოახლოვებამდის. ზავი შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ პირობებით, თუ მტერი დაბრუნებს წართმეულ ჩვენს ტერიტორიას და აგვანაზღაურებს ყოველგვარს ზარალს. რუსეთს თავისუფლად უნდა შეეძლოს ხმელეთა-შუა ზღვაზე მოქმედება.

ალ. კერენსკი კიევში.

კიევი, მაისი 20. მუშათა ოფიცერთა და ჯარისკაცთა შეერთებულ სხდომაზე ალ. კერენსკიმ წარმოსთქვა სიტყვა. შემდეგ წავიდა უკრაინის რადაში სადაც იმედი გამოსთქვა, რომ უკრაინელები რუსის ხალხთან ერთად მიაღწევენ ცხოვრების ახალს ფორმამდის, რომელიც უნდა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელს კრებაზეო.

აი, ძველი რეჟიმის რუსეთის დიპლომატიას სწორეთ მერაბას როლი ეკარა, ევროპის პოლიტიკაში როცა ჩაერეოდა,

ყოველი საპოლიტიკო ჭირის დღეს რუსეთის მეფეები და პირველი მინისტრები უთუოდ უნდა ჩარეულიყვენ და ევროპის საპოლიტიკო მკვდარი მერაბასავით უნდა ეტირათ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მერაბა ყოველს ასაბიას გვერდს მოუჯდებოდა და ჩინებულად გამოუორიკდებოდა, რუსეთის დიპლომატია კი ხახამშრალი, მშიერი, დაზარალებული უმადურად შინ ბრუნდებოდა.

მერაბას ნამკვდარვი ჩოხა-ახალუხი და ჩიხტა-ჯიპაც ერგებოდა მეუღლის დასაშვენებლად, რუსეთის დიპლომატებს ერთი ნემსის ფასი არაოდეს არ შესძენიან სხვისი მკვდრის ტირილში.

ასეთი სხვისი მკვდრების მოტირალის როლი განსაკუთრებით აღექსანდრე და ნიკოლოს პირველებმა იკისრეს და მერმე ყველი მათ მემკვიდრეებზე საერთო სენად გადადიოდა.

და ასეთ მოღვაწეობას რუსეთის დიპლომატია ნაციონალური პოლიტიკის სამოსელში ახვევდა, ნაციონალურ პოლიტიკის წარმოებას ეძახოდა, თუმცა იგი პირწავარდნილი ავანტიურა იყო და არა ნაციონალური პოლიტიკა.

ვიდრე მაგალითებზე მივუთითებდეთ, რადგანაც სიტყვამ მოიტანა, ესთქვათ, ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა არის ნაციონალური პოლიტიკა, და არა ავანტიურა.

ნაციონალურ პოლიტიკას ორი აზრი

თვით გასამართლება.

რუმფერაბადი. მაისის 14. ბრბომ გაასამართლა ციხიდან ახლად განთავისუფლებული ქურდი და თვით გასამართლების შემდეგ მხეცურად აწამა.

ძარცვა ბლეკა.

დონის როსტოვი, მაისის 19. როსტოვის მახლობლად ძმრაცველთა რაზმმა თავდასხმა მოახდინა მომავალ საქონლის მატარებელზე. ხალხის მხრივ წინააღდეგობის გაწევის შემდეგ ძმრაცველები მიიმალენ.

უცხოეთი.

ჰ. დ. ს.

დეპეშები.

რაბინ და სტოკჰოლმის კონფერენცია

პარიზი, მაისის 19. რიბომ დეპუტატთა პალატაში წარმოსთქვა სიტყვა და სტოკჰოლმის სოციალისტების კონფერენციას შეეხო და სთქვა, ზავის ჩამოგდება რომელიმე განკერძოებულ პარტიას არ ძალუძსო. თუ დღეს სოციალისტები მოითხოვენ ომის საკითხის გადაწყვეტას, მაშინ ხვალ კათოლიკენი მოითხოვენ, რომ მათაც ხმა ჰქონდეთ მშვიდობიან კონფერენციაზე. მგრამ ზავი არ უნდა იყოს არც სოციალისტური და არც კათოლიკური—ზავი უპირველეს ყოვლისა ფრანგული უნდა იყოს. ზავის პირობები უნდა ეთანხმებოდეს მთელი საფრანგეთის სულის-კვეთებას. როგორ შეიძლება მსჯელობა ვიქონიოთ მტრის წარმომადგენელებთან, როდესაც ჩვენი სამშობლოს კუთხე კვლავ მათ ჯარის ხელშია. არა, ზავი მხოლოდ გამარჯვებით, მთავრობა ვერ დაუშვებს, რომ ხალხში ვრცელდებოდეს იდეა წინასწარი ზავის. ქვეყნის მტრები არავითარ საშვალებას არ ერიდებიან და ხმების ავრცელებენ, ვითომ რუსეთს და საფრანგეთს შუა შეთანხმება ყოვლა აგრესიულ მიზნების მისაღწევად. ამ მოკლე ხანში გამოვამეცენენ ისეთ საბუთებს, რომელნიც ამ საზიზღარ ჭორებს ბოლოს მოუღებენო.

მსოფლიო ომი.

ჰ. დ. ს.

დეპეშები.

დასავლეთის სამხრეთი

ლონდონი. მაისის 21 ოფიციალი. ჩვენ იერიში მივიტანეთ მტრის პოზიციებზე: სუშეს სამხრეთით ჩვენ წინ წავიწიეთ. მტერზე იერიშების მიტანის შემდეგ წამოვიყენანეთ მრავალი ტყვე. ბერიზის სამხრეთ-დასავლეთით გერმანელებმა იერიში მოიტანეს ჩვენს მოწინავე სადარაჯოებზე. დაიკავეს ერთი სადარაჯო. ბიუფლეურის მიდამოებში მტრის არტილერია ენერგიულად მოქმედებდა.

პარიზი. მაისის 19 ოფიციალი. ლაფფოს ჩრდილოეთით გერმანელებმა იერიშებ: იგი ან მიტომ არის ნაციონალური, რომ შეეფერება და პირდაპირ პასუხს აძლევს ხალხის უმთავრესს ვაბატონებულს მიდრეკილებას და სურვილებს, ან იგი არის ეგზმარიტი მოდადებელი ერის რაღაცური მოთხოვნილების და ინტერესისა.

პირველ შემთხვევაში პოლიტიკას უნდა ვუწოდოთ პოლიტიკა ნაციონალი გრძნობისა, მეორე შემთხვევაში—პოლიტიკა ინტერესისა—ანუ რეალური.

ისეთი პოლიტიკა, რომელსაც არა აქვს ნიადგი არც ხალხის გრძნობასა და არც ქვეყნის ინტერესებში—აი, ასეთი პოლიტიკა—პოლიტიკა ავანტიურული, სხვა და სხვა პირობების მიხედვით, დინასტიური.

ასეთი ავანტიურის ნაყოფი იყო ნაპოლეონ 3-ის დაწყებული ლაშქრობა; ყირიმის ომი, მექსიკის ექსპედიცია და სხვანი ამგვარიანი.

ასეთ პოლიტიკის ვაბატონების ეამს საზოგადოების განწყობილება, რომელსაც შიშით შეპყრობილი ჟურნალ-გაზეთები აღინშნავენ ან წარმომადგენელთა ყრილობებზე გაიგონებ, სულ ხელოვნურად არის აღძრული და იმ მხრით მიმართული, საითაც დაინტერესებულ მართველობას, გინა პარტიას ეკვირვება, რადგანაც მათ ხელში იყრის თავს ყველა ძაფები, რომელიც საერთაშორისო და საპარტიო ხლართს გამობმული აქვს.

ქვეყანას და ხალხს მხოლოდ იმ ცნობებს მიაწოდებენ, რომლებიც მათი მინისტრების სასურველია, რომლებსაც მეთაურები ემკარებიან და რომელნიც მათ შვა საქმეებს ათვორებენ ხოლმე.

ამიტომ, როცა ამბობდენ, და ან იტყვიან ეგე თუ იგი ნაბიჯი ხალხმა გადადგა, ეგ სრული სიყალბეა და სიყალბედ დარჩება ყოველთვისო.

ამას ხმოლოდ იმიტომ აცხადებდენ, და აცხადებენ, რათა მოჩქმალონ და გაამართლონ თვისი პირადი სურვილების დამაკმაყოფილებელი გეგმები, პატივ მოყვარეობის მიზნები, პირადი ინტერესებით გატაცებანი.

ამისთანაებს ხშირად ჩადის ხოლმე გაბატონებული ჯგუფები და პარტიები ზოგიერთ საზოგადოებაში.

სადაც არ არსებობს საშუალება ხალხის სურვილების გამოთქმისა, სადაც ხალხი გაბატონებულთა შიშით მალავს თვისი გულის წადილის გამეღავნებას, სადაც იგი ზნეობრიცხა და სიტყვიერ წინააღდეგობას ბარდა, ფიზიკურს ძალდატანებასაც მოელის, იქ ეგზმარიტი ნაციონალი გრძნობის გამოჩენა შეუძლებელია და რასაც კი ვხედავთ, ყოველივე ეგე ყალბია, სხვის მიერ შეთხზულია და არა ხალხის გულიდან წარმოშობილი.

ასეთს შემთხვევაში ყველას შეუძლია ხალხს მიაწეროს ეგე თუ იგი აზრი, ეგე თუ იგი სიმპატია და, ვინც უფრო ხმამაღლად და ნიშნობლივად იყვირებს, თითქო ბუთიც მას გაეკვს, მით უმეტეს, რომ ხალხის პროტესტი თავდაჭერილია და შეშინებული. აი, ეს მყვარალა და ფიზიკურადაც ძლიერი ითვლება ეგზმარიტი ნაციონალი პატრიოტიზმის მოცა-

საყურადღებო კითხვები. პრეზიდიუმი სთხოვს ამხანაგებს უსათუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან დამსწრეთა რიცხვის და მიუხედავად, კრებაზე მიღებული რეზოლუციები ყველა ამხანაგისათვის სავალდებულო იქნება.

ეროვნ. დემოკრ. სტუდ. წრის პრეზიდიუმი.

◆ **სამოსწავლო საქმეები** რადგან 22 მაისს დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის გამგეობისა და კომისიის შეერთებული კრება წევრთა უმეტესობის დაესწრებლობის გამო არ შესდგა ამიტომ ხსენებული გამგეობა განმორებით სთხოვს კომისიის წევრთ: ბ-ნ. ი. ოცხელს, მ. თაქთაქიშვილს დ. უზნაძეს, ს. ხუნდაძეს, თ. მაჭავარიანის ასულს, პ. ჭანიშვილს, არ. წითლიძეს, გ. ბოკერიას, გ. ანთელიძეს, ი. გომელაურს, მ. ვარდოსანიძის ასულს, ლ. ხმალაძეს, ს. ყიფიანს, ტ. თაბუკაშვილს და ა. ჯანელიძეს მობრძანდენ 29 მაისს, დღით ორშაბათს, დილის 10 საათზე ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში სკოლის გაეროვნების საქმეში მომავალი სახელმძღვანელო სამოქმედო გეგმის შესამუშავებლად.

◆ **მასწავლებელთა თათბირი.** გუშინ წმ. ნინოს სახელობის სასწავლებლის შენობაში დაიწყო სრულიად საქართველოს სასულიერო საშუალო და პირველ დაწყებითი სასწავლებლების მასწავლებელთა შეერთებული თათბირი. თათბირმა უნდა შეიმუშავოს სასულიერო სასწავლებლების ახალი სამოსწავლო გეგმა განიხილოს სკოლის გაეროვნების კითხვა.

◆ ჩვენი სკოლის განახლების ამბავმა რუსეთში მყოფ ქართველ მასწავლებელთა ყურადღება მიიპყრო. იმედია, ისინი სამშობლოში დაბრუნდებიან. უკვე ჩამოვიდა ქ. ბიშპეკიდან (თურქესტ. ოლქი) იქაურ გიმნაზიის მასწავლებელი ბ. ლომომაძე.

◆ **ჯარისკაცთა ოჯახებისთვის ჯამაგრის** დარიგება. გუშინ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაიწყო ომში გაწეველ შერმავრთა ოჯახებისთვის დახმარების ფულის დარიგება.

◆ **ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის** ქუთაისის კომიტეტმა მთავარი კომიტეტისაგან შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო: „ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის კონფერენცია 28 მაისს ზაგერ 5 იგნობისთვის კაბინეტებს.

◆ **სტუდენტების** დამხმარე საზოგ. კრება. კვირას, 28 მაისს, საღამოს 7 ნახ. საათზე, ქალ. გიმნაზიის დარბაზში მოხდება დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზდობის დამხმარე საზოგადოების წევრთა წლიური კრება. კრების საგანია: 1) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების მოღვაწეობის ანგარიშისა, პარეკეზიონ კომისიის მოხსენებისა და მომავალი წლის საკარაუდო ხარჯთ აღრიცხვისა. 2) გამგეობისაგან საჭიროების დროს გაკეთული შეშეფობის რაოდენობის განსახილველა. 3) საკანცელარო ხარჯების დასაფარავი ფულის რაოდენობის განსაზღვრა. 4) სტიპენდიის დანიშვნა ფულის საარგებელიდან, რომელიც უანდერძა საზოგადოებას განსვენებულმა ფიფინოვის ქვრივმა 5) კომისიის არჩევა საზოგადოების წევრებიდან გადასაკალიერებლად. 6) არჩევა საზოგადოების საპატიო წევრთა, გამგეობისა, პარეკეზიონ კომისიის წევრთა, მოლარისა და მდივნისა ვთხოვთ ქუთაისში მყოფ სტუდენტებს დაესწრონ კრებას გარდა სტუდენტებისა კრებაზე დასწრება შეუძლია საზოგადოებას.

◆ **სრულკაბინეტი** სახლი. აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა კითხვა ჯაჭვის ხიდის გადმა საროსკიპო სახლის დაარსებისა. აღმ. კომიტეტმა მოსალოდნელ უსიამოვნებათა ასაშორებლად ამ უბანში საროსკიპო სახლის დაარსების ნება არ დართო.

◆ **სასურსათო საქმე** 24 მაისს საფიჩხიზე სამთო უბნის სასურსათო კომიტეტის წევრმა ა. ნიშნინინიძემ და ამ უბნის კომისარმა პ. ბაქრაძემ დაიკავეს 28 ფუთი გამომკეხვარი პური, 20 ფუთი ბულკა და „კრენდილები.“ ეს სანოვაგე უცნობ პირთ დ. ჩხარში გაქონდათ. ამავე დღეს დაიჭირეს შაქარი და ფარფლეულობა, რომელიც ქალაქ გარეულ გაპქონდათ. ხსენებულ პირებს სანოვაგე ჩამოერთვა და გადაეცა სასურსათო კომიტეტს.

◆ **ქალაქის სანიტ. ექ.** მაჭავარიანმა და სახალ. მილიციას უფროსმა ვ. ელენტეს განცხადებით მიმართეს ძველი ტანსაცმელით მოვაჭრეებს რომ თუ მათ ამიერიდან აღმოაჩენდათ უდებინფექციო ტანსაცმელი, იმ წამსვე დასწვავენ ამისთვის საგანგებო დანიშნულ ადგილზე.

◆ **ქალ. სან. ექ.** მაჭავარიანი წინადადებით სთხოვს ქალ. კომისარს, რომ დაიხუროს სასტ. „როსია“ (წითელი ხიდის მახლობლათ) რადგანაც იქ დიდი სიბინძურეა.

პროვინცია.

◆ **სოფ. გეგჩი.** ამ მოკლე ხანში აქ ბესარ. გიორგაძე გამართავს საღამოს ადგილმარეგ საკითხეულოს სასარგებლოდ.

◆ **სოფ. კულაში.** აქ გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

თბილისი.

◆ **ახალი კომისარი.** დროებითმა მთავრობამ თავის მეექვსე კომისარად ამიერ კავკასიაში დანიშნა გ. ვ. გუტოპი, მე-3 და მე-4 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი უფის გუბერნიიდან. გუტოპი კადეტთა პარტიას ეკუთვნის. ის უკვე ჩამოვიდა თბილისში. ხმა დადის, რომ ახლო მომავალში ხარლამოვი სავსებით უნდა წავიდეს ამიერ კავკასიიდან და იმის ადგილს აჰიერ (კომისარიატის თავმჯდომარე) გუტოპი დაიკერსო.

◆ **სკოლა და მთავრობას კომისარიატი** დროებითი მთავრობის კომისარებს — აკაკი ჩხენკელს და კიტა აბაშიძეს წარუდგენენ დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირის რწმუნებულები ანნა ქავთარაძე და მ. სარაძე და სთხოვეს: 1) გადასდონ სამოსწავლო ოლქის თანხიდან 15 ათასი მანეთი საპედაგოგო კურსების მოსაწყობად ამ ზაფხულში, 2) მისცენ კავშირს რამდენიმე თანხა სახელმძღვანელო წიგნების შესადგენად და 3) ღონისძიება იხმარონ დაკანონებულ იქმნას მასწავლებელთა ყრილობის დადგენილება, რომ სამრეკლო-საეკლესიო სკოლები დაექვემდებაროს განათლების სამინისტროს. კომისარებმა პირველი 2 მუხლის შესახებ აღუთქვეს რწმუნებულებს რომ 40 ათასი მანეთის მოგაცემთო, ხოლო უკანასკნელი მესამე მუხლის შესახებ შუამდგომლობის სასურველად დაბოლოვებას შეჰპირდნენ.

◆ **თავად აზნაურობა და მოამქვედი პარტია.** თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა ყრილობამ გადასწყვიტა, რომ ბანკის წარსული წლის წმინდა მოგებიდან 50.000 მანეთი გადასდვას საქართველოს მომქმედ პოლიტიკურ პარტიების სასარგებლოდ. ფულის განაწილება საგანგებო კომისიას დაევალება.

◆ **გვლეხთა და შეშთა დეკლარაციის** ერი დოსა. მაისის 21-ს, სახალხო სახლში და იწყო ამიერ კავკასიის ვლეხთა და მუშათა დელეგატების საოლქო ყრილობა. კრება დაიწყო ნ. ჟორდანიამ. მიესალმა კრებას დროებითი მთავრობის კომისარი ა. ჩხენკელი. იმ დღეს და აგრეთვე მაისის 22-ს სხვადასხვა პარტიებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებათა წარმომადგენელნი მოესალმენ ყრილობას. სიტყვა წარმოსთქვა ქართლისა და კახეთის სამმა ვლეხმა. ყრილობა რამდენიმე დღეს გასტანს დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე.

◆ **ქართველ სტუდენტთა საყურადღებოდ.** ტომსკის ქართველი სტუდენტობა მოუწოდებს ამხანაგებს, ქართველ სტუდენტობას და კურსის ქალებს, როგორც რუსეთის, ისე საზღვარ-გარეთის უმაღლეს სასწავლებლისას, ყოველმა ათეულმა ერთი კაცი აირჩიონ წარმომადგენლებად და გამოიგზავნოს თბილისში მოწვეულ ქართველ სტუდენტობის წარმომადგენელთა კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება ამა წლის ათ ივნისს, თბილისის ახალ ქალების საზაფხულო თეატრის დარბაზში. ისეთ ალაგებში, სადაც ათეულები არ მოიპოვება, ესეთოვთ ამხანაგს შეუერთდნენ ასეთსავე ახლოს მყოფ სტუდენტთა ასეთ სავე პატარა ჯგუფებს, შეადგინონ ათეულები და აირჩიონ წარმომადგენლები. სასურველია ყრილობის გარეშე არ დარჩეს არც ერთი ქართველ სტუდენტის ხმა. წარმომადგენლებმა თბილისში ჩამოსვლისას წინასწარ უნდა მიმართონ რეგისტრაციისათვის საორგანიზაციო ბიუროს, დიდმოთავრის ქუჩაზე № 48 სახლში, ჩუბინაშვილის ბინაზე.

◆ **საბრალესტო დეპონსტრაციები.** კვირას, მაისის 21 ს, თბილისში ბევრს ადგილს ხალხი და ჯარისკაცები შეიკრიბნენ და დემონსტრატიულ პროტესტი განაცხადეს იმის გამო, რომ ავსტრიაში ლოზმა სამხედრო მინისტრს უბრძანა — ასეთი პასუხი მიეცა:

პირველი თოფის ხმაზე მზად იქნება ამ სამეფოს სახსნელად (60,000) სამოცი ათასი მხედარიო და, თუ ეს არ იკმარებს, მთელი სამხედრო ძალას ბრძოლის ველზე გამოვიყენო.

ასეთი ნაბიჯებით მიემზადებოდა ნიკოლოზ მეორემდი რუსეთის დიპლომატია: მერამა ქათამაძესავით, სულ სხვისი პოლიტიკური მკვდრების მოტრიალი იყო. და ახლა, ნიკოლოზ მეორის დროს ხომ საარაკო ფაფანგში გაება. ინგლისი და გერმანეთი აგერ 40 წელიწადია, რაც შესაჭიდებლად ემზადებოდენ: ყოველი ახალი დრედნოუტის აშენება ინგლისის ნავთსაყუდელში. ერთს ვაი უშველებელს გამოიწვევდა გერმანეთის სამხედრო ლიტერატურაში და გერმანეთში რომ წყალ ქვეშების კეთება დაიწყეს, ინგლისი შიშის ზარმა შეიპყრო.

ორივე სახელმწიფოს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა მოელოდათ, რადგანაც ამ შეტაკებას მათი რეალური ინტერესები მოითხოვდა.

ახლა, მიბრძანეთ, შენი ჭირიმე, რუსეთს რა ეპრიანებოდა, რომ ტყვილა ჩაიდგა ფეხი ამ ((ეცხლში და, შეიძლება თვიც გადააყოლოს!

მაგრამ ასეა: ჩვეულება რჯულის უმტკიცესიაო: რუსეთი ყოველთვის სხვის მაზოვებლად და მობარგედ გამოდიოდა ევროპის პოლიტიკაში.

ხ. ყ—ნი

ქულად და ხალხიც ძალა უნებურად მას ემორჩილება.

ყალბი ნაციონალიზმის შესახებ ლაპარაკმა შორს წაგვიყვანა და ახლა ისევ რუსეთის ძველი რეჟიმის ავანტიურის მაგალითები მოვიყვანოთ, რომ უსაბუთობა ერავინ გვიკიჟინოს.

რუსეთის დიპლომატიამ ავანტიურის წარმოება, როგორც ზევით მოგახსენეთ ალექსანდრე და ნიკოლოზ პირველებიდან დაიწყო.

რუსეთმა ნაპოლეონის ომების დროს უურეველი სისხლი დაღვარა ავსტრიისა და პრუსიის ინტერესებისათვის. ალექსანდრე პირველის დროს. მართლ-მადიდებელი დიდი სახელმწიფო მეორე პატარა ევროპიანთნო სახელმწიფოს, სამეფოსთვის ი გადუდგა სათათრეთის სასარგებლოდ: რუსეთში ქრისტიან ბერძენთა ტყვეობიდან გამოსაყიდელი ფულის მოგროვებაც ი აღკრძალული იყო.

1821 წელს ტალიანში აუჯანყდენ მცხოვრებლები ავსტრიის ჩინოვნიკებისაგან დაჩაგრულებაში მიიღეთ, თუ კი ამაი ომეშეობა თქვენთვის სასარგებლოდ მიგანიაო*).

*) სლოსნიმსკი — „Основные вопросы политики“

ამა, რისთვის ეტყოდა ეარს მებრძოლი ფრანცი?! დ, აი, ასი ათასმა რუსის ჯარმა ავსტრიის ინტერესების დასაცველად იტალიაში წასვლის ბრძანება მიიღო იმპერატორისაგან.

ისპანიაში მაინც რაღა ეშმაკი მიარბენინებდა მაგრამ, როცა აქ კარლ ფერდინანდს ხალხი აუჯანყდა, ეულ მოწყალე რუსეთის ავანტიურის დიპლომატიამ ბურბონებს საჩქარი გაუწია: უსაზღვრო ზნეობრივისა და ნივთიერს დახმარებას შეჰპირდა რუსეთის იმპერატორი ფრანგებს ისპანიის წინააღმდეგ, თუ საჭირო შეიქნებოდაო, ამბობს ისტორიკოსი სოლოვიევი.

რუსეთის დიპლომატებს თითქო სულ ის აინტერესებდათ, რომ ევროპის სახელმწიფოთა შორის თანასწორობა არ დარღვეულიყო და თვით რუსის ხალხს რა ესაჭიროებოდა, ეს მათ აინუნშიდაც არ მოსდიოდათ.

აუსტერლიცის ბრძოლის წინა დღეებში იმპერატორმა ალექსანდრე 1-მა, როგორც ივიე სოლოვიევი გადმოგვცემს, დოლგორუკოვი გაუგზავნა ნაპოლეონს მოსალაპარაკებლად იმაზე, თუ რისთვის ებრძვის რუსეთი ძლევა-მოსილ საფრანგეთს.

მოვიყვანოთ დამახასიათებელი სცენა:

ნაპოლეონი (დოლგორუკოვს): რისთვის ვიბრძვით? რა აუცილებელი მიზეზებია რუსეთ-საფრანგეთის შეტაკებისა? მე ეს არ მესმის და ვერ გამიგია.

დოლგორუკი: მთელმა ქვეყანამ იცის ეს მიზეზები, ამის გამეორება სრულიად საჭირო არაა.

ნაპ.: ჩემსა და ალექსანდეს შორის შეთანხმება ძლიერ ადვილია. ვლახეთი თუ უნდა, მისისკუთოროს, ამისათვის ენის დასველების მეტი არაფერი დასჭირდება: ბრძანოს და მიერთმეევ.

დოლგ.: ჩემს იმპერატორს ბევრი მიზეზი და ქვეყნები უპყვრია ხელით: მისი მიზანია პორტა ხელუხლებელი დარჩეს. ამას გარდა, ყოველთა უწინარეს მისი მისწრაფება ისაა, რომ ევროპაში თანასწორობა დამყარეს სახელმწიფოთა შორის და ჰოლანდია და შვეიცარია დამოუკიდებელ ყოს.

ნაპოლ.: როგორ არ უნდა იცოდე, როგორც დიპლომატმა, რომ ეს ქვეყნები თავისუფალია! შვეიცარიაში აღა ერთი ჩემი მხედარი არა ჰაპანობს. მაგრამ თუ მაგისთანა რამე წვრილმანი აწუხებს, ამასაც გამოვაწყობ.

დოლგ.: სარდინიის კაროლი უთუოდ უნდა აღადგინო, მას ტახტი უნდა დაუბრუნო.

ნაპ.: კი მაგრამ ეს მეფე ჩემი პირადი მტერია. მე იმას იტალიაში ვერ გავიჭერებ, სხვაგან კი, შეიძლება, სამაგიერო მივსცე.

დოლგორუკოვი თავისი ახირებული პრეტენზიებით არ მოეშვა და ამიტომ ნაპოლეონმა საუბარი ასე გაათავა: „რაღა გაეწყობა! კეთილი! მაშ ვიბრძოლოთ.“

ცხადზე უცხადესია, რომ მოსაუბრეთა შერიგება შეუძლებელი იყო, რადგანაც რუსის დიპლომატი განყენებული, სანტიმეტალური გრძნობით ხელმძღვანელობდა და ეს ნაპოლეონისათვის სრულიად გაუგებარი იყო, როგორც დადებილი ინტერესების მოტრფიალესათვის.

და, აი ოცი ათასი რუსის ჯარი აუსტერლიცის ომმეობენი დაიმარხა, ვითომდა ევროპის სახელმწიფოთა თანასწორობისათვის და სარდინიის მეფის უფლებათა დაცვისა და სარჩლისათვის.

ასეთი უსარგებლო და უმიზნო ჩარევის გამო რუსეთის იარაღმა ძლიერების ხმა კი გაიგდო, მაგრამ რუსის ხალხს კი ერთი ნემსის ყალირალი არა შესძენია რა. პირიქით, რუსეთის სახელმწიფოსადმი ევროპის ერებში მტრობა და შური დაბადა და ამან ყირიმის ომი მიიყოლია.

მაშინ რუსეთის დიპლომატიას რკვნეოდა კიდეც, რომ პოლიტიკაში ქვეყნესათვის საჭირო რეალური ინტერესები შეეტანა.

ეს ტრადიცია თითქო მემკვიდრეობით გადავიდა და ნიკოლოზ პირველსა და მისს დიპლომატებზე: ტახტზე ასელისთანავე ნ. პირველმა ავსტრი ს ელჩს ამ სიტყვებით მიმართა: „დაარწმუნეთ იმპერატორი ფრანცი, რომ, როცა საჭირო იქნება დახმარება მისი ინტერესების დასაცავად, ჩემი სახელმწიფოს ძალ-ღონე მისს განკარგულებაში იანგარიშოს“.

როცა ბელგია და ჰოლანდია საერთაერთო საომარს ფეხზე დდგ., ინგლისის მთავრობა შეეკითხა რუსეთისას, რამდენს დახმარებას გაუწევ ბელგიასთო, და ნიკოლოზმა სამხედრო მინისტრს უბრძანა — ასეთი პასუხი მიეცა:

პირველი თოფის ხმაზე მზად იქნება ამ სამეფოს სახსნელად (60,000) სამოცი ათასი მხედარიო და, თუ ეს არ იკმარებს, მთელი სამხედრო ძალას ბრძოლის ველზე გამოვიყენო.

ასეთი ნაბიჯებით მიემზადებოდა ნიკოლოზ მეორემდი რუსეთის დიპლომატია: მერამა ქათამაძესავით, სულ სხვისი პოლიტიკური მკვდრების მოტრიალი იყო. და ახლა, ნიკოლოზ მეორის დროს ხომ საარაკო ფაფანგში გაება. ინგლისი და გერმანეთი აგერ 40 წელიწადია, რაც შესაჭიდებლად ემზადებოდენ: ყოველი ახალი დრედნოუტის აშენება ინგლისის ნავთსაყუდელში. ერთს ვაი უშველებელს გამოიწვევდა გერმანეთის სამხედრო ლიტერატურაში და გერმანეთში რომ წყალ ქვეშების კეთება დაიწყეს, ინგლისი შიშის ზარმა შეიპყრო.

ორივე სახელმწიფოს სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა მოელოდათ, რადგანაც ამ შეტაკებას მათი რეალური ინტერესები მოითხოვდა.

ახლა, მიბრძანეთ, შენი ჭირიმე, რუსეთს რა ეპრიანებოდა, რომ ტყვილა ჩაიდგა ფეხი ამ ((ეცხლში და, შეიძლება თვიც გადააყოლოს!

მაგრამ ასეა: ჩვეულება რჯულის უმტკიცესიაო: რუსეთი ყოველთვის სხვის მაზოვებლად და მობარგედ გამოდიოდა ევროპის პოლიტიკაში.

ხ. ყ—ნი

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

გზ. „ჩვენი ქვეყნის“ კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწყვიტოს გაზეთის გზავნა.

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტი.

ამით საყოველთაო აცხადებს, რომ პარასკევს, 26 მაისს, კომიტეტის ბინაზე ოლდენბურგის ქუჩა, ოლდენბურგის სახლი, დანიშნულია ჩამორთმეულ (конфискованные) საქონელთა საჯაროთ გაყიდვა, სახელდობრ: ჩითი, სარფინკა, შავი სატინი, მაფრაში, შალის მატერია, რაგოჟა, ბატისტი და სხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომი.

უკანასკნელ დღეებში კავკასიის ბრძოლის ველი ისევ ანბანურდა. ბოლო დროს ქურთები რუსის ჯარს დიდი რაზმებით ესხმიან თავს. 19 მაისს რუველსირის პოზიციებს ეკვეთენ. ამავე დღეს ქერთთა რიზმი 100 კაცისგან შემდგარი ქერმანშაპის ჩრდილო-დასავლეთით შეებრძოლა რუსის ჯარს და უკან დაადევნა. 4 მაისს 500 ქურთი უტევდა მალლობ აკობაბის სიმაგრეებს, რომელიც რუსის ჯარს უკავია, ეს გორაკიანი პოზიციები მდებარობს ერძინჯანზე 26 ვერსის დაშორებით მთავარ სამხედრო ბანაკის ცნობით, ამ ადგილას ქურთების შემოტევა, რუსის ჯარს უკუ უგდია. განსაკუთრებით საქმეს აპირებენ რუსის ჯარის ზურგს უკან მოთარეშე ქურთები.

იტალეთისა და ინგლისის საფრანგეთის ასპარეზებზე გერმანელები შეტევის ტაქტიკას დაადგენ. რუსეთის აღმოსავლეთის ასპარეზით დღე ღამის განმავლობაში საერთო მნიშვნელობის არაფერი მომხდარა.

ჯიბ.

დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

დროებითმა მთავრობამ აქტი გამოსცა, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს წინასწარი მზადება და მუშათა დამფუძნებელ კრების მოსაწვევად. მთავარ კითხვად აღ-

სარგებულია საარჩევნო კანონის და წესის შემუშავება. დროებითმა მთავრობამ საჭიროდ სცნო წინასწარ მუშაობაში, რომელიც სახ. სათათბიროს აღმასრულებელ კომიტეტთან დაიწყება, მიწვეულ იქნნას ყველა პოლიტიკურ პარტიათა, კოოპერატივთა, მუშებისა, გლეხთა, ფრონტისა და იმ ეროვნებათა, წარმომადგენელი, რომელნიც კულტურულ ერად ითვლებიან, მათშორის ქართველების წარმომადგენელიც იქნება.

განსაზღვრულია აგრეთვე სხვადასხვა სპეციალისტ პირთა მიწვევა. მუშაობა უნდა დაიწყოს ამ მოკლე ხანში. წინასწარ მუშაობისთვის დროებითმა თავრობამ ჯერჯერობით 15 ათასი მანეთი გადასდო.

ᲗᲣᲐᲒᲔᲯᲓᲘᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

არც ერთ პარტიას არ შეუძლია გვერდი აუაროს ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ნაწილს —სოფელს, რადგან საქართველოში სოფლის მცხოვრებლები 90 პროც. და ქალაქს კი ძლივს 10 პროც შეადგენენ.

ამ შემთვევაში ხმა სოფლელისა იქნება „ხმა ღვთისა".

ჩვენ, რამოდენიმე იდეურ ამხანაგებს, სხვადასხვა პარტიის მიმდევრის, — დაგვებადა სურვილი გვეცლო სოფელში, გულწრფელად აგვეხსნა ყველა საქართველოში არსებული პარტიების პროგრამები და გაგვეგო, თუ, რომელ პროგრამას მოიწონებდა გლეხი ან და რაში ვის დაეთანხმებოდა.

ამის შესრულება ძნელი აღმოჩნდა, მაგრამ მაინც ცოტაოდენად.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნო, რომ უკიც სოფელის გონებაში სხვადასხვა არსებულ პარტიების შესახებ მხოლოდ ორი სიტყვა არსებობს: — „ფედერალისტი" და „დემოკრატი".

სიტყვები „სოციალისტი," „ეროვნული" მათთვის ჯერ სრულებით უცნობია.

ახლა მათისებურად „ფედერალისტის" და „დემოკრატის" მეტის-მეტად დამალონებელია და ხანდახან გულშემზარავი. „ფედერალისტი„ მათთვის ნიშნავს ყაჩაღს, დაჩაგრავს, რუსეთიდან გამოყოფილ მოტრფიალეს.

„დემოკრატი" კი წმიდაა წმიდაა.

დაირქვი მხოლოდ „დემოკრატი" და სოციალისტი იქნები თუ ეროვნული დემოკრატი—სულ ერთია...

ამიტომ ჩვენ წინდაწინვე გადავწყვიტეთ რომელიმე პარტიის სახელით არ გველაპარაკნა... გამოვსულიყავით, როგორც თავისუფალი მოქალაქენი.

ერთად ერთი საკითხი, რომლის გარშემოც ტრიალებს დიდი ალიაქოთი და რომელსაც ყოველი თავისებურად სწყვეტს ეს არის მიწის საკითხი. ითქმის თამამად, რომ შეუფნებელი გლეხის ყურადღება მხოლოდ ამ საბედისწერო საკითხისაკენ არის მიქცეული...

მიწის „სოციალიზაციაზე" მათ არავითარი წარმოდგენა არა აქვსთ.

ამ შემთხვევაში მათ გაუელელი უფსკრული ჰყოფს ს. ფედერალისტებისაგან და ს. დემოკრატებისაგან, რომელნიც „ნიადაგს" უმზადებენ მიწის სოციალიზაციას.

ითქმის თამამად, რომ ეს მუხლი აკავშირებს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასთან საქართველოს უმთავრეს ნაწილს —სოფლის მცხოვრებლებს.

როდესაც ჩვენ მათ ავუხსენით, თუ რას ნიშნავდა მიწის სოციალიზაცია, როდესაც ჩვენ მათ გადავუშალეთ მოწინააღმდეგე პარტიების პროგრამები და დეტალურად ავუხსენით- განუმარტეთ მუხლები -უმრავლესობამ უკან დაიხია...

...მიწის საკითხის განმარტება სოციალისტურ თეორიით მათ თვალებში ეჭიხიათ და ერთბაშად: ჩვენს საკუთრებას ჩვენ იარაღით დავიცავთ... სადაც ჩემს წინაპრებს უცხოვრიათ, ის ჩემია და არა საერთო. —

ერთმა მოხუცმა კი შეშფოთებული კილოთი მითხრა: — ვერც შენ და ვერც ჩვენი შვილები ამას, რასაც თქვენ „სოციალიზაციას" ეძახით ვერ მოვესწრებით შეიძლება სამასი ოთხასი წლის შემდეგ ვითომ...

— არც მაშინ — დაუმატა მეორემ...

როდესაც ავუხსენი ჩვენი პარტიის ზოგიერთანი ამის შესახებ, როდესაც ამოვუკითხე ჩვენი პროგრამიდან, რომ მიწა შრომელ ხალხს უნდა ეკუთვნოდეს და რონ ჩვენ უნდა დავეხმაროთ შეუძლებელ გლეხს მიწის შესყიდვაში და რომ მიწის რაოდენობა ყოველ შემთხვევაში განსაზღვრული უნდა იყოს, მათს მაყოფილებას საზღვარი არ ქონდა...

— აი ნამდვილი აზრი — ჩაილაპარაკა ერთმა.

— გაუმარჯოს მაგ პარტიას — სთქვა მეორემ...

თითქმის ყველგან ასეთი შემთხვევა იყო ეროვნულ დემოკრატიის ეს მუხლი ხალხში თანაგრძობას იწვევდა...

ამ შემთხვევაში თვით ცხოვრების კანონი იმარჯვებდა.

სხვა საკითხების შესახებ არას ვიტყვი, ვინაიდან თითქმის ამაზე ერთაზროვნობა დამკვიდრდა.

ვიტყვი, რომ სიყვარული მშობელი ქვეყნისადმი უსაზღვროა, სოფელში. მართალია რომ „შავთა დღეთ ვერ შეუცვლიათ მის გული ანდამატისა — იგი ისევ მხნეა, მომდერალი, მოყვარე თავის მიწისა"...

რომ მოგესმინათ გულუბრაყვილო სოფელის სხვა-ბაასი სამშობლოს სიყვარულზე, რომ ჩვენსწდომოდით მის გულის სიღრმეს, მაშინ ალბად სოფლის მესაღიდმელი კაცთან ერთად იტყოდით: — ეს ხალხი:

„სამშობლოს არვის წაართმევს
და ნურც სხვა შაეცილება,
თორემ ისეთ დღეს დამართებს,
მკვდარსაც კი გაეკინება".

მიხეილ საირხელი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢ-ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲚᲘᲡᲢᲗᲐ

პარტიის კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები.

(დასასრული იხ. „ჩვ. ქვ." № 35.)

დამოკიდებულება პარტიებთან და ერებთან.

„საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეფორმიუციო პარტიის კონფერენციამ, განიხილა რა პარტიებთან და ერებთან დამოკიდებულების საკითხი, რევოლიუციის გასამტკიცებლად, მშრომელის ხალხის ინტერესების დასაცავად და ერების თავისუფლებისათვის საჭიროთ სცნო:

1) სოც.-ფედერალისტთა პარტია შეუთანხმდეს და დაუკავშირდეს ყველა სოციალისტურ პარტიას, ხოლო ტენდენციური შეთანხმება კერძო შემთხვევებში შესაძლოდ აღიარებულ იქმნას პროგრესიულ და დემოკრატიულ პარტიებთან.

2) ერების პოლიტიკურ მისწრაფებათა განსახორციელებლად შესდგეს საქართველოს ეროვნული ყრილობა, ხოლო შემდეგ კავკასიის ერების წარმომადგენლებს შეერთებული კრება, სადაც შეთანხმების პრინციპის მიხედვით საბოლოოდ გამოიკვეს საფუძველნი ეროვნულ-პოლიტიკურ ურთიერთობისა".

სოც. ფედ. ორგანიზაციების დარბევის გამო.

„საქართველოს სოციალისტუ-ფედერალისტთა სარეფორმიუციო პარტიის კონფერენციამ, მოისმინა რა მოხსენება ქუთაისისა, სამტრედისა, ზესტაფონისა, ჩხარისა ხონისა, ხარაგოულის და სხვა ადგილების სოც ფედ. ორგანიზაციების დარბევისა, გამოსთქვამს თავის აღშფოთებას და საჭიროდ მიიჩნია კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლების ჩასაჭრობად და რევოლიუციის გასაღრმავებლად დარაზმოს დემოკრატიული ძალები და სოციალისტურ პარტიებთან, დროებით თავრობისა და რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან ერთად მოსპოს რეაქციის ძალთა თავდასხმანი. კონფერენცია ამასთანავე ავალებს მთავარ კომიტეტს, დაუყოვნებლივ გადასდგას ნაბიჯი ამ დადგენილების თანახმად და ამ შემთხვევაში' თუ დასახეიფებელი ორგანოები ჩვენთან ერთად შეთანხმებულ ზომებს არ მიიღებენ ამგვარ გამოსვლების წინადმდეგ, მთავარი კომიტეტი მოვალეა დაუყოვნებლივ მოიწვიოს პარტიის ფედერალური საბჭო საკუთარ საშუალებათა მისაღებად პარტიის თავისუფალ მუშაობის უზრუნველსაყოფად".

დადგენილებანი.

კონფერენციამ იქონია რა მსჯელობა პარტიის პრესის შესახებ დაადგინა: პარტიმ? გაიჩინოს მთავარი პარტიული გაზეთი, რომლის სარედაქციო კოლეგიასაც აირჩევს პარტიის მთავარი კომიტეტი.

კონფერენციამ განიხილა რა აგრეთვე წარმოდგენილი პროექტი პარტიის წესდებისა დროებით სახელმძღვანელოდ მიიღო და დაადგინა: დაევალოს მთავარს კომიტეტს პარტიის წესდების დაწვრილებითი განხილვა. შემდეგ იგი გაეგზავნოს ადგილობრივ კომიტეტებს შესწორების შესატანად და ბოლოს, დასამტკიცებლად წარედგინოს ფედერალურ საბჭოს.

არჩევნები.

დასასრულ მოხდა მთავარ კომიტეტის წევრთა არჩევნები. აირჩიეს: გიორგი ლასხიშვილი, სამს. ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, კიტა აბაშიძე, სამსონ დადიანი, დ. უჩხუძე, შალვა მესხიშვილი, და ერასტო ტორეოტაძე.

ᲛᲝᲬᲕᲘᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

დ. ზესტაფონი.

მაისის 21 ზესტაფონის ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის კომიტეტთან არსებულმა ქალთა წრემ გამართა საღამო პარტიის ფონდის გასაძლიერებლად. საღამოს 8 საათზე საკრებულო დარბაზი ხალხით გაიქედა. საღამო შესდგებოდა 3 განყოფილებისაგან: პირველ განყოფილებაში ა. ბ. გარსევანიშვილმა სიმღერანი ორკესტრის დემონსტრაციით წაიკითხა ლექცია შემდეგ თემაზე: თუ რა ნაყოფი მოუტანა ფინეთს ასი წლის ავტონომიამ. ლექციამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მიუხედავად იმისა, რომ ხალხის სამოვალის გამო ხმაურობა იყო დარბაზში. მეორე განყოფილებაში მიხ. კვაკაძის ხორმა შესასრულა მრავალი ხალხური სიმღერა, რის შემდეგ საზეიმო სიტყვები წარმოსთქვეს ლელი ჯაკარიძემ, გ. ლეონიძემ და ლექცია წაიკითხა გრ. ვეშაპელმა, ლექცია ეხებოდა პოლიტიკური საკითხს საზოგადოდ. განყოფილების ბოლოს კაცსაძემ დადგა სცენები სოფლის ცხოვრებიდან და შეასრულა მრავალი სოფლური სიმღერა. მესამე განყოფილება დაიწყო ადგილობრივ მასწავლებლის ბესარიონ კელენჯერიძის და ახალ გზრდა მგოსანის ილიკო ლოლუას ლექციების წაკითხვით, უკანასკნელის ლექციებმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. განყოფილება დამთავრდა საღირაშვილის თარეზე დაკვრით და ნემო და ვ. ურუშაძის კუპლეტებით.

საზოგადოდ, ხალხი დიდი კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა. საღამო დასრულდა ღამის 2 საათზე. ანტრაკტების დროს სხვადასხვა ოთახში გამართული იყო ალეგრა ლატარეით.

კ. ვეფხვაძე

აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები სახ. ნოს სახოგადოებ (ზოროანის მაზრა).

მაისის 17-ს, სახ.ნოს საზოგადოებაში, რომელშიც შედის სოფელი ჩიხორის, დედასუბანი, სახანო, ზემშლოსანდი და ჩიხარის სანაშვილო, მოხდა დროებით აღმასრულებელ კომიტეტის არჩევნები, ახალი ოთხ-ფოროშულიანი კენჭნს ყრით. დანიშნულ დროზე ხალხი ბლომად მოგროვდა, სპარობდა დედაკაცები პარტიულ შეხლა-შემოხლას ადგილი არა ქონია. კრების გახსნისთანავე თავმჯდომარედ აირჩიეს ადგილობრივი მცხოვრები ა. ჭანტურიძე, მდივნად გრ. მიქაშავიძე, დაესწრენ ორი პარტიის წარმომადგენელნი: ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატებისა. მათ ილაპარაკეს და ხალხს აუხსნეს, თუ როგორ უნდა მომზადარიყო ფარული კენჭის ყრა. კომიტეტის წევრები თვითონ ხალხმა დაასახელა. იმ წამსვე შეუდგენ არჩევნებს და აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს შემდეგი პატრონსანი და კეთილ სიმედო პირნი: 1. გრ. მიქაშავიძე, 2. არეთა ლოლუა (ქალი) 3. ს. ქერაძე, 4. ბ. აბესაძე 5 მ. ჩუბინიძე 6. ა. ჭანტურიძე და 7. ბ, კუპატაძე კანდიდატებად — 1. ს. აბესაძე 2. ი. ბასახუოდაშვილი და 3. ს. ჭანტურაძე, ხოლო სასურსათო კომისიაში ვიქტორ აბესაძე. ბოლოს ჯარის კაცმა ფარაძემ სიტყვით მიმართა ხალხს და დეზერტირებს მოუწოდა, რათა დაუყოვნებლივ გამოცხადდენ ჯარში, ვინაიდან მაისის 15 უკვე გავიდა და, თუ კიდევ ამ დღეებში არ გამოცხადდენ სამხედრო უწყებაში, მათ იმ შემთხვევაში დასჯა მოელისთ.

ივერიკო.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.

რუსეთი საერთაშორისო პოლიტიკაში.

კოალიციურ მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ტერეშჩენკომ მოკაგშრო სახელმწიფოთაგან შემდეგი შინაარსის დეპეშები მიიღო.

საფრანგეთის პრემიერ რიბოსგან, „საფრანგეთის რესპუბლიკა სრულის თანგრძნობით ეგებება თქვენს მინისტრად დანიშვნას და სწამს, რომ რევოლუციური რუსეთი მტკიცედ დაიკავს საფრანგეთთან დადებულ კავშირს. თავის მხრივ საფრანგეთი მზად არის, ყოველ გვარი შესაძლო დახმარება აღმოუჩინოს ახალ რუსეთს. რიბო აღნიშნავს, რომ უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ომის წარმოებას და ამისი დროზე და სურვილისამებრ ლიკვიდაცია, რომელიც დიდად საჭიროა რუსეთის რევოლიუციის კეთილად დაგვიანებისთვისო. რიბო საჭიროდ სთვლის, ომის წარმოებისთვის მოხდეს საერთო შეთანხმებული მოქმედება.

ბელგეთის პრემიერ ბარონ ბეიენსისგან. ბელგეთი სრულ თანაგრძნობას გიცხადებსთ თქვენ და სწამს, რომ დიდი სახელმწიფონი არ დაივიწყებენ ბერმანეთოს მიერ ყოფილად გათელილი პატარა მოკავშირე ბელგეთის ინტერესებს.

სათბობის და სამრეწველო მასალის კრიზისი.

მექანიზეთა და მეფაბრიკეთა ყრილობაზე ილაპარაკეს იმ გარემოებაზე, თუ როგორ კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა რუსეთი სათბობის და საამშენებელო მასალის სიმკირით მწარამოებელნი აღნიშნავდენ, რომ ხსენებულ მასალების სიმკირე უმთავრესად გამოიწვია მუშების გან შრომაზე უსაზღვრო ხელფასის მოთხოვნამ და იმ მოვლენამ, რომ სოფლებში გლეხებმა მიისაკუთრეს თვალსაჩინო ტყეები რომლის მოჭრაშიც დიდ ფასს თხოულობენ. გაზ. „სავაჭრო სამრეწველო უწყების" ცნობით, მომავალ ზამთარში რუსეთს, სრულებით არ ექნება სათბობი და საამშენებლო მასალა.

ქალაქდის ქარხნის დაკეტვა.

რიგაში დაიხურა ქალაქდის ქარხანა, რომელშიც დღიურად 400 კაცი მუშაობდა. მიზეზი ნედლი მასალის უქონლობაა.

ანარქია ოქრო მადნის საწარმოო ადგილებში.

ბელოლიეშენის მიდამოში ოქროს მადნის დამუშავების საქმე უკიდურესად გარეთ ულდა და გამწვავდა. მუშები უზომო მოთხოვნილებათ აყენებენ. პეტროგრადში მიღებულ ცნობით ოქროს მადნის დამუშავება დიდ საფრთხეში ჩავარდნილი.

აგრარული უწესობანი.

მინსკის გუბერნიაში აგრალურ ნიადაგზე აღმოცენებულმ უწესობამ მასიური ხასიათი მიიღო, გლეხებმა დაარბიეს კერძო საკუთრებანი.

მეურნეობა საფრთხეშია ჩავარდნილი.

მამულის აკლება.

ნოვოგორუდის მაზრაში (ბრძოლის ა ბა რეზის მახლობლად) ჯარისკაცებმა აიკლეს თ-ფ სვიატოპოლმირსკის დიდი მამული. ზარალი რამდენიმე ათი ათას მანეთს აღემატება. კომისარიატმა ჯარისკაცებთან მოსალაპარაკებლად დელეგატები გაგზავნა მაგრამ მოლაპარაკების ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა.

ხეტყის დამუშავების აკრძალვა

რიაზანის გუბერნიაში გლეხებმა აკრძალეს ხე-ტყის დამუშავება.

თვით გასამართლება

სოფ. კორნეშში გლეხებმა აითვალისწუნეს ტყის გამეგ მერეშეკი და სავანგებო მოწვეულ სოფლის ყრილობაზე მას სეკვდილით დასჯა მიუსაჯეს. გაბრაზებულმა ბრბომ იგი ნაჯახებით დაკუწა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

ერთის უნებლიე შეცდომაში შეუყვანია ხართ კორესპოდენტს, მ. ფარცხალელს. კორესპოდენცია, რომელიც გაზეთ „ჩვენი ქვეყნი"-ს № 30-შია მოთავსებული სიმართლეს მოკლებულია. ხარაგოულის რაიონი თუ წესულ რევოლიუციის დროს მოწინავე საზოგადოებად ითვლებოდა, დღესაც ფხიზლად შეხვდა რევოლუციას და მეტის გამოცდილებით მოუძღვის თავისს საქმეებს. ამ შემთხვევაში კი ეს არ მიუტანიებს ჩემისნენებელს წესრიგში შეურაცხყოფილია სრულიად უმეცარი ადამიანი. მთელი საზოგადოება ალეგეებული იყო ადგილობრივი ტყის უფროსის (ᲨᲔᲩᲘᲩᲘᲜ) ივ. მამისერიოვის ქვეშ. [illegible] ... ეს სრული იყოფა [illegible] ... ადგილობრივ ... [illegible] ... ბ. ... [illegible]

დონ — ლას.

რედაქტორ-გამომცემელი

დ. ბ. ᲫᲕᲘᲠᲙᲔᲚᲘᲐ.

ᲔᲥᲘᲛᲔᲑᲘ:

ᲒᲐ. ᲘᲐ. ᲒᲝᲪᲘᲔᲚᲘ ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის. ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

Ო. Მ. ᲐᲚᲐᲗᲘᲐᲜᲘ ღვიძლობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე ბუმკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

Ი. ᲩᲐᲠᲘᲔᲥᲝᲕᲘ ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს.

(სისხლში შესხმა „606" და „914") დღეით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.

მისამართი. ლევაშოვის ტუნა, ალიბეგიანის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ Ტ. ᲑᲐᲚᲐᲜᲩᲘᲕᲐᲫᲘᲡᲐ.

ეკურნაე მასაჟთან, საკაბიმო ვარჯიშოებით. ვსპეციალიზეგ: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან ვეტენი ყველისაც **ახლად მიღებულ დეტონატორ** და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქარტულს, ანუ ეტეტის ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიმბოლეს. ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რიგეა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ბ. კოსტავას სახლი № 17.

ᲠᲙᲘᲜᲘᲡᲬᲘᲜᲘ ᲛᲘᲛᲝᲬᲚᲕᲐ.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 8 ს.	წ.
„	— საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	— დღისით	— 12 ს. 40	„
„	— ღამის	— 1 ს.	„
ფოთიდან	— დილის	— 10 ს. 26	„
ტყიბულიდან	— საღამოს	— 6 ს. 50	„
ხაშურიდან	— დილის	— 9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	— დილის	11 ს.	— „
„	— ღამის	— 11 ს. 34	„
ბათომისაკენ	— საღამოს	7 ს. 5	„
„	— დილის	— 7 ს.	„
ფოთისაკენ	— დღისით	— 4 ს.	„
ტყიბულისაკენ	— დილის	— 8 ს. 40	„
ზაურისაკენ	— დღით	— 5 ს. 20	„

ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გაყიდვლობა

„ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ"

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველგვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. სვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია

ᲛᲝᲜᲐᲠᲗᲔ „ᲫᲔᲛᲝᲜ" ᲞᲣᲨᲙᲘᲜᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ ᲒᲝᲪᲘᲐᲚᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡᲐ